

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტების შედგენისას ხელმძღვანელობდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“- საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 77-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 5 ოქტომბრის №04-03/125999 წერილის მიხედვით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2019 წელს მიიმარტება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0.55%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 5195.0 ათას ლარს. იმავე წერილით ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 250.0 ათასი ლარით. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2019 წლის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 5445.0 ათას ლარს. მათ შორის: ქონების გადასახადი 170,0.0 ათას ლარს. აქედან საქართველოს საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) 170.0 ათასი ლარს, ფიზიკური პირის ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი 5.0 ათასი ლარს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან 30.0 ათას ლარს, იურიდიული პირებიდან 30.0 ათას ლარს. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან 5.0 ათას ლარს, იურიდიული პირებიდან 10.0 ათას ლარს. სხვა გადასახადები 5195.0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 172.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში სხვა შემოსავლები დაგეგმილია 296.4 ათასი ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 150.0 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 7.4 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 30.0 ათასი ლარი. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 9.0 ათასი ლარი. ხოლო სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) 40.0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება გათვალისწინებულია 300.0 ათასი ლარი, აქედან ძირითადი აქტივების კლება 100.0 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივებისა (მიწა) 200.0 ათასი ლარი.

სულ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 6213.4 ათასი ლარით.

პარალელურად მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გადასახდელები განისაზღვრა 6213.4 ათასი ლარი. მათ შორის:

მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვროს 6213.4 ათასი ლარით. ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 139) დაგეგმილია 5839.4 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 1699.6 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 700.0 ათასი ლარი, სუბსიდია განისაზღვრა 2648.0 ათასი ლარით. სოციალური უზრუნველყოფა 493.7 ათასი ლარი. სხვა ხარჯები 298.1 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 374.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასახდელები განისაზღვროს 661.0 ათასი ლარით.

საკრებულოს ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 25) დაგეგმილია 656.0 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 428.9 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 181.0 ათასი ლარი, (მ/შ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 62.7 ათასი ლარი, მივლინებები 3.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 35.2 ათასი ლარი,

წარმომადგენლობითი ხარჯები 6.0 ათასი ლარით ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 72.5 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1.6 ათასი ლარი.) სოციალური უზრუნველყოფა 3.0 ათასი ლარი. სხვა ხარჯები 43.1 ათასი ლარი.

საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 5.0 ათასი ლარით, მანქანა დანადგარები და ინვენტარის შეძენის მუხლით.

მუნიციპალიტეტის მერიის გადასახდელები განისაზღვროს 1553.2 ათასი ლარით.

მერიის ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 103) დაგეგმილია 1541.2 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 1191.2 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 332.0 ათასი ლარი, (მ/შ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 50.5 ათასი ლარი, მივლინებები 8.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 97.5 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები 12.0 ათასი ლარით ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 100.0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 64.0 ათასი ლარი, ათასი ლარი.)

სოციალური უზრუნველყოფაზე 3.0 ათასი ლარი. სხვა ხარჯებზე 15.0 ათასი ლარი. მერიის არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 12.0 ათასი ლარით, მანქანა დანადგარები და ინვენტარის შეძენის მუხლით.

სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 80.0 ათასი ლარით, რომელიც აისახოს მუხლში საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი დაგეგმილია 100.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური) გადასახდელები განისაზღვროს 96.5 ათასი ლარით.

ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 7) დაგეგმილია 96.5 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 79.5 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 17.0 ათასი ლარი, (მ/შ: მივლინებები 3.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 5,0 ათასი ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 9,0 ათასი ლარი.)

მუნიციპალიტეტის გზების მოწყობა-რეაბილიტაცია დაგეგმილია 155.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სახიდე-ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია დაგეგმილია 35.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის გადასახდელები განისაზღვროს 140.0 ათასი ლარით. მათ შორის: ელ. ენერჯია 105.0 ათასი ლარი. სუბსიდია 35.0 ათასი ლარი.

დასუფთავების ღონისძიებები განისაზღვროს 280.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

წყლის სისტემის ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის გადასახდელები განისაზღვროს 60.0 ათასი ლარით. აქედან საქონელი და მომსახურება განისაზღვროს 5.0 ათასი ლარით, 55,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

უმეტეაღყუროდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია განისაზღვროს 5.0 ათასი ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებისა და სხვა არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია განისაზღვროს 30.0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა განისაზღვროს 50.0 ათასი ლარით, სუბსიდიის მუხლით.

სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯი განისაზღვროს 149.0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სოფლის მეურნეობის სხვა მხარდაჭერა განისაზღვროს 35.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება განისაზღვროს 158.0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სკოლამდელი განათლება განისაზღვროს 1155,0. ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით, საჯარო სკოლების დაფინანსება განისაზღვროს 30.0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით, განათლების ხელშეწყობა განისაზღვროს 60.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა განისაზღვროს 145.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება განისაზღვროს 140.0 ათასი ლარით მათ შორის საქონელი და მომსახურება 30.0 ათასი ლარი სუბსიდია 80,0 ათასი ლარი სხვა ხარჯები 10,0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდა 20,0 ათასი ლარი

კულტურის სახლების, სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა განისაზღვროს 275.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა განისაზღვროს 80.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება განისაზღვროს 70.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა განისაზღვროს 25,0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით.

ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა განისაზღვროს 20.0 ათასი ლარით, მათ შორის 5,0 ათასი ლარი სხვა ხარჯების მუხლით. 15,0 ათასი ლარი სუბსიდიების მუხლით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება განისაზღვროს 85.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები) განისაზღვროს 5.0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა განისაზღვროს 459,7 ათასი ლარით, აქედან 451.7 სოციალური უზრუნველყოფის მუხლით., 8,0 სუბსიდიის მუხლით მ.შ: მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა 85.0 ათასი ლარი, ახალშობილ ბავშვთა დახმარების პროგრამა 40.0 ათასი ლარი, თირკმლის დიალეზზე მყოფთა პროგრამა 32,0. ათასი ლარი, უსინათლოთა პროგრამა 10.0 ათასი ლარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და ავღანეთის ომებში მონაწილეთა დახმარების პროგრამა 12,5 ათასი ლარი, ას წელს გადაცილებულთა დახმარების პროგრამა 2,4 ათასი ლარი, უსახლკართთა თავშესაფრით

უზრუნველყოფის პროგრამა 40,0 ათასი ლარი, გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება 60.0 ათასი ლარი, შეჭირვებულ ოჯახებისათვის სხვა ერთჯერადი სოციალური დახმარება 42,0 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 80,0 ათასი ლარი, ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეთა დახმარება 3,2 ათასი ლარი,

შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების პროგრამა განისაზღვროს 52,6 ათასი ლარით აქედან 46,6 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფის მუხლით და 8.0 ათასი ლარი სუბსიდიის მუხლით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) განისაზღვროს 30,0.0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები განისაზღვროს 1.0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი განისაზღვროს 45,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება განისაზღვროს 2167,0 ათასი ლარით. მათ შორის:

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების (მუნიციპალიტეტის მერიის) საქმიანობის უზრუნველყოფა განისაზღვროს 2294.2 ათასი ლარით.

ფინანსური და ფისკალური საქმიანობა განისაზღვროს 80.0 ათასი ლარით, კერძოდ სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 80.0 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები განისაზღვროს 96,9 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა განისაზღვროს 532.0 ათასი ლარით. მათ შორის:

გარემოს დაცვა განისაზღვროს 330.0 ათასი ლარით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება განისაზღვროს 85.0 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგიის დაფინანსება განისაზღვროს 755.0 ათასი ლარით. მათ შორის:

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში განისაზღვროს 285.0 ათასი ლარით.

მომსახურება კულტურის სფეროში განისაზღვროს 450.0 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა განისაზღვროს 20.0 ათასი ლარით.

განათლების დაფინანსება განისაზღვროს 1245.0 ათასი ლარით. მათ შორის:

სკოლამდელი აღზრდა განისაზღვროს 1155.0 ათასი ლარით.

ზოგადი განათლება განისაზღვროს 30.0 ათასი ლარით.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში განისაზღვროს 60.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვის დაფინანსება განისაზღვროს 540.7 ათასი ლარით. მათ შორის:

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 504,7 ათასი ლარი. სოციალური გაუცხოების საკითხები რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას 30,0 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში განისაზღვროს 6.0 ათასი ლარით.

პატივისცემით,

დ. გოგუა
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი